

დამტკიცებულია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის
კოლეჯის დირექტორის N 04-95 ბრძანება (23.09.2019)

დანართი N 1

ცვლილება N04-118 (01.11.2019) დანართი N1

ცვლილება N04-151 (13.12.2019) დანართი N1

ცვლილება N04-76 (29.05.2020) დანართი N1; დანართი 2

ცვლილება N04-94 (23/06/2020) დანართი 3; დანართი 5

N04-179 (22.09.2020) დანართი 3

N04-197 (09.10.2020)

N04-198 (09.10.2020)

N04-208 23.10.2020



სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
მეხილეობა

მისამართი: მცხეთის რ-ნი, სოფ. წინამძღვრიანთკარი

დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N21

საკონტაქტო ინფორმაცია: 577215090; www.tmk.edu.ge

communitycollege@tmk.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: მაია თევზაძე ; მერაბ გუშარაშვილი

მცხეთა

2019

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - მეხილეობა/Fruit Production
2. სარეგისტრაციო ნომერი 09114-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში / Secondary Vocational Qualification in Agriculture

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან (ISCED) შესაბამისობაშია 081 სოფლის მეურნეობა - მემცენარეობა და მეცხოველეობა, აღმწერი - „შეისწავლის მცენარეული კულტურების მოყვანასა და მოვლას, ასევე ცხოველების მოშენებას, კვებასა და მოვლას. ის მოიცავს აგრარული მეურნეობის მენეჯმენტსა და ფუნქციონირებას და ასევე გადაუმუშავებელი მცენარეული და ცხოველური პროდუქციის წარმოებას“.

4. მიზანი

პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა

5. დაშვების წინაპირობები

სრული ზოგადი განათლება -საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად

საბაზო განათლება - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ფარგლებში (შემდეგში -ინტეგრირებული პროგრამა)

6. დასაქმების შესაძლებლობები

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ ორგანიზაციებში, აგრეთვე შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული და მართავდეს საკუთარ მეურნეობას.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCO) იდენტიფიცირებული დასაქმების პოზიციები

ძირითადი ჯგუფი 6 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს კვალიფიციური მუშაკები
ქვეჯგუფი 61; მცირე ჯგუფი 611; მცირე ჯგუფი 612; მცირე ჯგუფი 613; მცირე ჯგუფი 631

- ბაზარზე ორიენტირებული მეზაღეები და სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებლები
- მემინდვრეები და მებოსტნეები
- ხეხილისა და კენკროვანი კულტურების მწარმოებლები
- მეზაღეები, სანერგეების სხვა მუშაკები
- შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები
- თვითმომხმარებაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები, მესაქონლეები

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)

სექცია – A სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა, აღმწერი - *„მცენარეული და ცხოველური ბუნებრივი რესურსების გამოყენება, რაც შეიცავს კულტურების მოყვანას, ცხოველების მოვლასა და მოშენებას, მერყის მიღებასა და სხვადასხვა მცენარეების მოყვანას, ცხოველების და თევზის მოშენებას და ცხოველური წარმოების პროდუქტების მიღებას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და ბუნებრივ გარემოში“.*

7. სტრუქტურა და მოდულები - პროგრამა ითვალისწინებს ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს. ზოგადი მოდულების კრედიტთა ჯამია 18, ხოლო სავალდებულო პროფესიული მოდულები შეადგენს 72 კრედიტს, მთლიანობაში 90 კრედიტი.

ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში- პროგრამა ითვალისწინებს ინტეგრირებულ, ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს. ინტეგრირებული მოდულების კრედიტთა ჯამია 60, ზოგადი მოდულების კრედიტთა ჯამია 16, ხოლო სავალდებულო პროფესიული მოდულები შეადგენს 72 კრედიტს, მთლიანობაში 148 კრედიტი.

№	მოდულები პროგრამისათვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.	კრედიტი
1	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	14

2	მათემატიკური წიგნიერება	14
3	მეცნიერება და ტექნოლოგიები	18
4	მეწარმეობა	4
5	მოქალაქეობა	10
	ჯამი	60

*არ გაითვალისწინება ისეთ სასწავლო გეგმაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	2
2	რაოდენობრივი წიგნიერება *	2
3	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
4	უცხოური ენა - ინგლისური ენა	5
5	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
6	სურსათის უვნებლობა	2
7	საქართველოს ფლორა	2
	ჯამი	18

№	პროფესიული მოდულები	კრედიტი
1	მემცენარეობის ბიოლოგიური საფუძვლები	2
2	ნიადაგის დამუშავების საფუძვლები	2
3	თესლბრუნვა	2
4	თესვა და რგვა	3
5	მცენარისათვის საკვები ნივთიერებების განსაზღვრა	2
6	მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა	2
7	ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება - დაცვა	2
8	მცენარის საკვები ელემენტით უზრუნველყოფა	2
9	მინდვრის, ბოსტნეული და საკვები კულტურების შერჩევა	3
10	მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება	3
11	საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება	2
12	მოსავლის აღება-შენახვა	4
13	მეხილეობის ბიოლოგიური საფუძვლები	2

14	ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება	4
15	ხეხილის ბადის გაშენება	6
16	ხეხილის სხვლა-ფორმირება	6
17	ხილის დახარისხება - შენახვა	4
18	ხეხილის დაცვა	4
19	ხეხილოვანი კულტურების ბადის მოვლა	5
20	აგრობიზნესის ადმინისტრირება	5
21	დახურული გრუნტის მოწყობა	2
22	ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება დახურულ გრუნტში	3
23	ვაზის ბიოლოგიური საფუძველები	2
ჯამი		72

1. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

სოფლის მეურნეობის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულს შეუძლია:

კონცენტრაცია „მეხილეობა“:

1. მონაწილეობს საბაღე ფართობის ტერიტორიულ მოწყობაში;
2. შეაფასოს და დაამუშაოს ნიადაგი;
3. აწარმოოს ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალა;
4. უზრუნველყოს ხეხილის სხვლა-ფორმირება;
5. უზრუნველყოს ხეხილის დაცვა;
6. აიღოს მოსავალი;
7. მართოს ფერმერული მეურნეობა;
8. დაგეგმოს და განახორციელოს პროდუქტის პირველადი მიღება-რეალიზება.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა შეიმუშავა მეხილეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამა შემუშავებულია მოდულური და დუალური მიდგომით, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% -ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

კოლეჯმა ასევე შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს არანაკლებ 3 წელს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა, შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;

- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

მოდულური სწავლების შემთხვევაში - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

დეალური სწავლების შემთხვევაში - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში- კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც მემორანდუმის/ხელშეკრულების მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

- ფიზიკური პირი - ეკატერინე ღრუბელაძე
- ფიზიკური პირი - დავით ალექსიძე
- სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი
- ფიზიკური პირი - თამარ ღანიშაშვილი

- ფიზიკური პირი - ომარ ქუცნაშვილი
- რაიონული კოოპერატივი „დევალეთი“

14 .არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

15. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- ჩარჩო დოკუმენტი - სოფლის მეურნეობა
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №170/ნ, 2019 წლის 19 აგვისტო

15. პროგრამის განხორციელების ადგილი:

პროგრამა ხორციელდება

- მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში (ძირითდი სასწავლო კორპუსი)
- დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N21 (დამატებითი სასწავლო კორპუსი)
- **პრაქტიკული კომპონენტი:** ფიზიკური პირი - ეკატერინე ღრუბელაძე (თბილისი, ჯანილიძის ქუჩა N44); ფიზიკური პირი - დავით ალექსიძე (მცხეთის რაიონი, სოფ. ქანდა); სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი(მცხეთის რაიონი, სოფ. ჯილაურა); ფიზიკური პირი - თამარ ღანიშაშვილი (დაბა თიანეთი, სოფელი თეთრახევა); ფიზიკური პირი - ომარ ქუცნაშვილი (დაბა თიანეთი, სოფელი ხოფცა), რაიონული კოოპერატივი „დევალეთი“ (მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი)

16. პროგრამის მოცულობა კრედიტებში:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 90 კრედიტი

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 120 კრედიტი

ინტეგრირებული პროგრამა

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 148 კრედიტი

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 178 კრედიტი

17. პროგრამის ხანგძლივობა:

დუალური მიდგომით:

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 96 სასწავლო კვირა
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 117 სასწავლო კვირა

მოდულური მიდგომით:

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 72 სასწავლო კვირა
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 93 სასწავლო კვირა

ინტეგრირებული პროგრამა

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 146 სასწავლო კვირა
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 167 სასწავლო კვირა

დანართი N1 - სასწავლო გეგმა

დანართი N2 - გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა

დანართი N3 - პროგრამის განმახორციელებლები

დანართი N4 - რაოდენობრივი წიგნიერება

- დანართი N5 - ინფორმაციული წიგნიერება 1
- დანართი N6 - უცხოური ენა - ინგლისური ენა
- დანართი N7 - გარემოსდაცვითი საფუძვლები
- დანართი N8 - სურსათის უვნებლობა
- დანართი N9 - საქართველოს ფლორა
- დანართი N10 - მემცენარეობის ბიოლოგიური საფუძველები
- დანართი N11 - ნიადაგის დამუშავების საფუძვლები
- დანართი N12 - თესლბრუნვა
- დანართი N13 - თესვა და რგვა
- დანართი N14 - მცენარისათვის საკვები ნივთიერებების განსაზღვრა
- დანართი N15 - მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა
- დანართი N16 - ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება - დაცვა
- დანართი N17 - მცენარის საკვები ელემენტით უზრუნველყოფა
- დანართი N18 - მინდვრის, ბოსტნეული და საკვები კულტურების შერჩევა
- დანართი N19 - მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება
- დანართი N20 - საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება
- დანართი N21 - მოსავლის აღება-შენახვა
- დანართი N22 - მეხილეობის ბიოლოგიური საფუძვლები
- დანართი N23 - ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება
- დანართი N24 - ხეხილის ბაღის გაშენება
- დანართი N25 - ხეხილის სხვლა-ფორმირება
- დანართი N26 - ხილის დახარისხება - შენახვა
- დანართი N27 - ხეხილის დაცვა
- დანართი N28 - ხეხილოვანი კულტურების ბაღის მოვლა
- დანართი N29 - აგრობიზნესის ადმინისტრირება

დანართი N30 - დახურული გრუნტის მოწყობა

დანართი N31 - ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება დახურულ გრუნტში

დანართი N32 - ვაზის ბიოლოგიური საფუძვლები

დანართი N33 - ქართული ენა A2

დანართი N34 - ქართული ენა B1